ლენინურ შრომითს ვაჯტფზე

ახალ წლამდე დარჩა 15 დღე

ნაყოფიერად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო!

ხუთწლედი — ვალდებულებანი

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 დეკემბერი. სამშაბათი 1968 ფასი 2 კაპ

გამოცემის 49-ე წელი • № 292 (14288)

თავი ვაჭარეიჩინეს მეკარტოფილეებმა

დამზადებულია 51.100 ტონა კარტოფილი

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს საქართველოს მეკარტოფილეებმა. მათ არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს დაუპირისპირეს შრომის ზუსტი ორგანიზაცია კარტოფილის მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღებაში.

სახელმწიფოს მიეყიდა 51.100 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 51.000 ტონისა.

უხვი მოსავლის მოყვანასა და კარგი ხარისხის კარტოფილის დამზადებაში თბილისის, რუსთავის, რუსეთის, ბელგიკის სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელთა შომარაგებისათვის, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ახალციხისა და დმანისის რაიონების მეურნეობებმა. ახალციხის რაიონმა დაამზადა 8.406 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.830 ტონისა, დმანისის რაიონმა — 7.001 ტონა, ანუ გეგმაზე 1.161 ტონით მეტი.

წარმატება მოიპოვეს აგრეთვე ბოლნისის რაიონმა, სადაც დამზადებულია 3.029 ტონა კარტოფილი, გეგმით გათვალისწინებულზე 429 ტონით მეტი. თეთრი წყაროს რაიონმა, სადაც გეგმით გათვალისწინებული 1.560 ტონის ნაცვლად დამზადებულია 2 ათასი ტონა, ბარდავნის რაიონმა — 1.597 ტონა ნაცვლად 1.420 ტონისა. 287 ტონით გადააჭარბა დავალებას ადიგენის რაიონმა, ხაშურის რაიონმა გეგმა შეასრულა 162 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

400 მისამართით

წყალტუბო. (საკ. კორ.). ქიმიური ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ს. მუთაფელაძე), რომელიც პროდუქციის ჩვენი ქვეყნის 400 სხვადასხვა მისამართზე გზავნის და ხუთწლედის დამდეგიდან ორკლამაციოდ მუშაობს, ვადაზე ერთი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა.

წყალტუბოელმა ქიმიკოსებმა წლიური გეგმის გადამეტებით ის ტონაზე მეტი ზეთოვანი საღებავი, 250 ტონა ოლიფა და 720 ტონა დაფქული შპატი გამოუშვეს. ქარხნის კოლექტივი წლის ბოლომდე კიდევ დამატებით გამოუშვებს 120 ათასი მანეთის პროდუქციას.

გვირაბმშენთა წარმატება

თბილისი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივმა, რომელმაც ოცი დღით ადრე შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური დავალება.

გეგმა განაღდებულია 101 პროცენტით. სეიქსპლოატაციოდ გადასაცემი ყველა ობიექტი მიღებულია ხარვეზი და ფრიადი შეფასებით. გადაჭარბებით არის შესრულებული შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებანი, აღნობა რედაქციას სამმართველოს უფროსმა ვ. გოცირიძემ.

□ □

თბილგვირაბმშენის კოლექტივი ფართოდ არის ჩაბმული ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის თავდადებულად შრომობენ კომუნისტური შრომის ბრიგადის ახალგაზრდა მუშები ე. ახულაძე, გ. ოგაძე და ა. ამრაპეტოვი. ისინი ყოველდღიურ დავალებას 165-170 პროცენტით ანაღდებენ. გ. ოგაძე ამავე დროს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტიც არის. სურათზე: (მარცხნიდან) ე. ახულაძე, გ. ოგაძე და ა. ამრაპეტოვი.

ფოტო მ. დათიკაშვილისა.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა მეოთხე ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

კომპოზიტორთა მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობის გახსნის დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მესალმება ყრილობის დელეგატებს, საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ყველა მოღვაწეს!

საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედება განუყოფელად დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, კომუნიზმისათვის ბრძოლასთან. სამოქალაქო ომის პირველი გმირული სიმღერებით დაწყებული და დამთავრებული ახალი დიდი მუსიკალური ნაწარმოებებით — ოპერებით, სიმფონიებით, ორატორიებით, რომლებიც გაისმა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის დღეებში, ჩვენი მუსიკა მკაფიოდ განასახიერებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეებს, აქტიურად უწყობს ხელს ახალი საზოგადოების მშენებელთა სულიერ ზრდას, ადიდებს საბჭოთა ადამიანს — შრომელსა და მებრძოლს, თავისი ქვეყნის პატრონს, მაღალი იდეური რწმენისა და ზნეობრივი სიწმინდის ადამიანს.

ახლა მუსიკალურმა ხელოვნებამ მიაღწია ახალ ეტაპს თავის განვითარებაში. სულ უფრო ხშირად მიმართავენ კომპოზიტორები თანამედროვეობისა და რევოლუციური წარსულის დიდ თემებს. მუსიკალური კლასიკის რეალისტურ ტრადიციებს ნაყოფიერად ავითარებენ საბჭოთა საკომპოზიტორო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები. მდიდრდება მუსიკალური შემოქმედების ფორმების, სტილისა და ჟანრების მრავალფეროვნება. შეიქმნა ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნიჭიერი პლეადა, რომელიც აქტიურად მუშაობს მუსიკალური კულტურის სხვადასხვა სფეროში. ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებებმა ღირსეული ადგილი დაიკავეს შემსრულებლების, საკონცერტო და თეატრალური კოლექტივების რეპერტუარში. გაიზარდა კომპოზიტორთა როლი თეატრისა და კინოს განვითარებაში, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობაში.

საბჭოთა მუსიკა გამოხატავს ჩვენი ხალხის გრძნობებსა და აზრებს, ემსახურება მას, მოიპოვა მისი სიყვარული. სოციალიზმის პირველი ქვეყნის მუსიკალურმა ხელოვნებამ ფართო აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი იზრდება ჩვენი შემსრულებლების თვალსაჩინო წარმატებებით.

საბჭოთა მუსიკალური კულტურის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი მრავალეროვნული ხასიათი. მოკავშირე რესპუბლიკათა კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები სრულდება კონცერტებზე, რადიოსა და ტელევიზიაში, ხალხთა მეგობრობის ფესტივალებზე, ფართოდ ცნობილია ქვეყანაში და საზღვარგარეთ, მოძმე კულტურათა მიღწევების გაცვლის სხვადასხვა ფორმა ხელს უწყობს მათს ურთიერთგამდიდრებასა და განვითარებას, ცხადყოფს ყველა რესპუბლიკაში მუსიკალური ხელოვნების ზრდას, ჩვენი სამშობლოს მხატვრული კულტურის მზარდ ინტერნაციონალურ ერთიანობას.

სოციალისტური რეალიზმის მუსიკალური ხელოვნება ვითარდება პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების საფუძველზე. თავისი იდეური მიმართულებით, თავისი ადამიანურობით იგი უპირისპირდება თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს დეკადენტურ კულტურას.

დღეს, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი გამწვავების პერიოდში, საბჭოთა მუსიკის მოღვაწეები მოწოდებული არიან კიდევ უფრო აქტიურად გაიღაშქრონ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, უფრო თანამიმდევრულად დამკვიდრონ თავიანთ შემოქმედებაში სოციალისტური ჰუმანიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეები.

საბჭოთა ხალხი კომპოზიტორებისაგან მოელის ახალ მკაფიო ნაწარმოებებს, რომლებიც აღამაღლებენ ადამიანს, შთაგონებენ შრომისა და გმირობისათვის, უფრო მშვენიერს გახდიან მის ცხოვრებას. ჩვენი სინამდვილის სიმდიდრე და მრავალფეროვნება იმსახურებს ნიჭიერ განსახიერებას ყველა ფორმისა და ჟანრის მუსიკალურ ხელოვნებაში.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი ბეჯითად უნდა წყვეტდეს მუსიკალური შემოქმედების დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, ქმედით გავლენას ახდენდეს შემოქმედებითს პროცესზე, ხელს უწყობდეს ისეთი ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც აქტიურად დაგვეხმარებიან საბჭოთა ადამიანებში კომუნისტური რწმენის, მაღალი ზნეობის, კარგი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში. კომპოზიტორებმა უნდა გააქტიურონ შემოქმედებითი მუშაობა სიმფონიური და საოპერო ნაწარმოებების შექმნაში, უზრუნველყონ საგუნდო ხელოვნების ახალი აღმავლობა, მიაღწიონ თეატრისათვის, კინოსა და ესტრადისათვის მუსიკის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ უახლოეს დროში კომპოზიტორები პოეტებთან თანამეგობრობით შექმნიან ახალ სიმღერებს, რომლებიც დაგვეხმარებიან ვაშენოთ და ვიცხოვროთ, შთააგონებენ ხალხის ძალებს გმირობისა და ახალი გამარჯვებისათვის შრომასა და მეცნიერებაში, სამშობლოს დაცვასა და კოსმოსის დაპყრობაში, მოგვიწოდებენ ვიაროთ წინ კომუნიზმისაკენ.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა უნდა დაიცვას და განვითაროს საბჭოთა მუსიკის შესანიშნავი ტრადიციები, სრულყოს კავშირის წევრთა პროფესიული ოსტატობა, წარმართოს მათი ნოვატორული ძიება იმ ახლის ღრმად გაშუქებისათვის, რასაც წარმოშობს კომუნიზმის მშენებლობა, პრინციპულად შეაფასოს შემოქმედებითი ცხოვრების მოვლენები, დაიცვას ჯანსაღი, პროგრესული ტენდენციები, სისტემატურად იმუშაოს ახალგაზრდა კომპოზიტორებთან. საჭიროა განვავითაროთ ნაკლოვანებათა ამხანაგური კრიტიკა, უფრო აქტიურად ვებრძოლოთ მუსიკაში სხვადასხვაგვარ ფორმალისტურ დამახინჯებას, მივაღწიოთ კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა შემდგომ შეკავშირებას სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, აღვზარდოთ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სულისკვეთებით.

ჩვენს დღეებში ინფორმაციის თანამედროვე საშუალებათა განვითარების მეოხებით მუსიკალურმა ხელოვნებამ შეიძინა უმაგალითო, მრავალმილიონიანი აუდიტორია. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც კომპოზიტორებს, ისე საკონცერტო ორგანიზაციებში, რადიოსა და ტელევიზიაში მომუშავე მუსიკალური შემოქმედების პროპაგანდისტებს. მხოლოდ მაღალი იდეურ-მხატვრული დონის ნაწარმოებებით შეიძლება წარმატებით შეეწყოს ხელი მილიონობით საბჭოთა ადამიანის მუსიკალურ აღზრდას.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირს მართებს უფრო ფართო კავშირი დაამყაროს საწარმოებსა და მშენებლობებთან, კოლმეურნეობებსა და ჯარის ნაწილებთან, განამტკიცოს შეუფობა მხატვრული თვითმოქმედებისადმი. საჭიროა უფრო აქტიური გავლენა მოვახდინოთ ქვეყანაში მუსიკალური განათლების დაყენებაზე, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და უწინარეს ყოვლისა კომკავშირთან ერთად უფრო ფართოდ გავშალოთ ეს მუშაობა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, უფრო აქტიურად ვაჩაროთ მუშა და სოფლის ახალგაზრდობა მხატვრულ კულტურას.

ძვირფასო ამხანაგებო!

წელიწადი, რომლითაც დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების მეორე ორმოცდაათწლეული, აღნიშნა ჩვენი ქვეყნის ხალხების ახალი მიღწევებით სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. საბჭოთა ხალხი წარმატებით ასრულებს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას და ამით დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

საბჭოთა ხალხის მთელი ცხოვრება და ბრძოლა, კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა განუყოფლად დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან და მოძღვრებასთან. დიდი ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ აღმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროშა. ლენინური პარტიის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარნი, მიაღწია სოციალიზმის გამარჯვებას. საბჭოების ქვეყნის გზით მიდის ახლა მსოფლიოს მილიონობით ადამიანი. სოციალიზმი გახდა მსოფლიო სისტემა. ლენინიზმის სიდიადე განსაკუთრებით მკაფიოდ და ნათლად წარმოუდგება კაცობრიობას დღეს, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ.

უეჭველია, რომ საბჭოთა კომპოზიტორები შექმნიან ახალ შესანიშნავ ნაწარმოებებს, რომლებიც ასახავენ ლენინური იდეების გამარჯვებას სოციალიზმისა და კომუნიზმის ძლევამოსილ სვლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის დაჯილდოებას ლენინის ორდენით და გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნება კვლავაც სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს ხალხის კომუნისტურ აღზრდაში.

გისურვებთ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ტალანტი და შთაგონება — ხალხს

კომპოზიტორთა მე-4 სრულიად საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საბჭოთა კომპოზიტორების IV ყრილობა.

დოლის 10 საათია. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, ვ. ნ. დემიჩევი, კ. ტ. კატუშევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი. მათთან ერთად არიან ცნობილი საბჭოთა მუსიკოსები, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლნი. ყრილობის სტუმრები. დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლნი.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კომპოზიტორმა დ. დ. შოსტაკოვიჩმა. ყველა საბჭოთა მუსიკოსის სახელით მან გულითადი მადლობა უძღვნა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის — ლენინის ორდენისათვის, რომლითაც დაჯილდოებულია სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი.

ჩვენი ხელოვნების ყველა საუკეთესო ტრადიცია, მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მოვალეობა, ხაზს უსვამს დ. დ. შოსტაკოვიჩი, თქვითეულ საბჭოთა ხელოვანს ავალებს იყოს ცხოვრების შუაგულში, ჩვენი დიადი დროის ყველა მოვლენის ცენტრში. ჩვენი მუსიკა — ეს არის იარაღი ორი სამყაროს — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის, იდეოლოგიათა შეურიგებელ ბრძოლაში.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჩვენი ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრობა აღნიშნავენ უდიდესი ადამიანისა და ბელადის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ყველა საბჭოთა კომპოზიტორის მოვალეობაა ღირსეულად შეხვდეს ამ წლისთავს.

(დასასრული მე-2 გვ.).

მებრძოლ ვიეტნამთან სოლიდარობის კვირეული

12 დეკემბერს საბჭოთა კავშირში დაიწყო ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის კვირეული. იგი დაუკავშირდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის 8 წლისთავის დღესასწაულს და ემთხვევა სტოკჰოლმში ვიეტნამის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის გახსნას.

ეს ახალი პოლიტიკური კამპანია მიმდინარეობს ვიეტნამელ ძმებთან საბჭოთა ადამიანების მზარდი სოლიდარობის ნიშნით, რომ მტკიცედ დაუჭირონ მხარი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის სიმართლიან პოზიციას, რომლის მიზანია სავიეტნამო პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება. (საკდესი).

ზღვისპირეთის სიმდიდრე

ვლადივოსტოკი. (საკდესის კორ.). დღეს ზღვისპირეთის მხარის ლაზოს რაიონში დაიწყო დაბის მშენებლობა. ამ დაბას ჯერ სახელწოდება არა აქვს. წიღის მზვერავებმა აქ ალის დიდი ქვიშრობი აღმოაჩინეს.

ზღვისპირეთის მხარე საბჭოთა კავშირის, ერთერთი მთავარი „ალის პროვინციაა“. გეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს 500-ზე მეტი საბადო. ადგილობრივი ალის მდინები გამოირჩევიან იმით, რომ დიდი ზიოდენობით შეიცავენ ლითონს. ამიტომ, სპეციალისტთა აზრით, დიდი საბადოების გამოყენებასთან ერთად სასარგებლო იქნება ნვრილი საბადოების ექსპლოატაციაც. ალის ძიება ფართო მასშტაბით მიმდინარეობს არა მარტო მთის მდინარეების სათავეებში უსურიის ტაიგაში, არამედ იაპონიის ზღვის სანაპიროზეც.

400 მისამართით

წყალტუბო. (საკ. კორ.). ქიმიური ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ს. მუთაფელაძე), რომელიც პროდუქციის ჩვენი ქვეყნის 400 სხვადასხვა მისამართზე გზავნის და ხუთწლედის დამდეგიდან ორკლამაციოდ მუშაობს, ვადაზე ერთი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა.

წყალტუბოელმა ქიმიკოსებმა წლიური გეგმის გადამეტებით ის ტონაზე მეტი ზეთოვანი საღებავი, 250 ტონა ოლიფა და 720 ტონა დაფქული შპატი გამოუშვეს. ქარხნის კოლექტივი წლის ბოლომდე კიდევ დამატებით გამოუშვებს 120 ათასი მანეთის პროდუქციას.

ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ლიტვის სს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, მთელ ხალხს ღირსშესანიშნავ თარიღს — ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებისა და ლიტვის კომუნისტური პარტიის — რესპუბლიკის მშრომელთა მოწვიდან რაზმის დაარსების 50 წლისთავს.

ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით ლიტველი ხალხის მშრომელი მასები რუსეთის რევოლუციურ მუშაობა კლასთან ერთად აქტიურად იბრძოდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის, და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის.

1918 წლის დეკემბერში ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება იყო ლიტველი ხალხის თვალსაჩინო მონაპოვარი. ლიტველში შეიქმნა მუშურ-გლეხური სახელმწიფო. საბჭოთა მთავრობისა და უშუალოდ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მხარდაჭერით ლიტვის მშრომელები შეუდგნენ სოციალისტურ მშენებლობას. მაგრამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პირობებში რესპუბლიკის მშრომელთა რევოლუციური მონაპოვრების დაცვა ვერ მოხერხდა. საერთაშორისო იმპერიალიზმისა და ლიტვის ბურჟუაზიის ერთიანებულმა ძალებმა სასტიკად ჩაახშეს ახალგაზრდა რესპუბლიკა.

რეაქციის თარეშის ძნელ წლებში ლიტვის კომუნისტური პარტია რაზმავდა მასებს ლენინური იდეების დროშით, ხელმძღვანელობდა ბრძოლას ანტიხალხური ყოფილების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალურ მხარდაჭერაზე დაყრდნობით ლიტვის მშრომელებმა 1940 წელს დაამხეს ექსპლოატატორები და აღადგინეს საბჭოების ხელისუფლება. ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში, ხოლო ლიტვის კომპარტია გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენელი ნაწილი. დიდი სამამულო ომის პერიოდში ლიტვის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

უპირატესად აგრარული ლიტვა ბურჟუაზიის ბატონობის დროს კაპიტალისტური ხელმწიფოების დანამატი იყო. სოციალიზმის პირობებში შეიქმნა ლიტველი ხალხის ეკონომიური, სოციალური და კულტურული პროგრესის ფართო შესაძლებლობანი. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში იგი გახდა დიდად განვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკა და ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება ახლა 23-ჯერ და მეტად აღემატება ომამდელ დონეს. ძირეული ცვლილებანი მოხდა ლიტვის სოფელში. წლითიწლობით იზრდება საოსფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მტკიცდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა განუწყვეტელივ უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. წარსულს ჩაბარდა გაჭირვება, უმუშევრობა, მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია არსებობის საშუალებათა საძებნელად. რესპუბლიკის წარმატებანი ნიშნავს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

ლიტვის სსრ შრომელთა მიღწევები განუყრელად დაკავშირებულია ლიტვის კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან. მან განვლო სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი გზა, ყოველ ეტაპზე იყო და ახლაც არის მშრომელი მასების მებრძოლი ავანგარდი და ორგანიზატორი, ლიტველ ხალხს ზრდის საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგულების სულისკვეთებით. ლიტვის კომუნისტები რაზმავენ რესპუბლიკის შრომელებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლიტველი ხალხი ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხთან ერთად მიაღწევს ახალ გამარჯვებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ლიტვის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით

დამსახურებისათვის საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში, რომელიც განსახიერებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეებს, და კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა კომპოზიტორების აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი** დაჯილდოებულია **ლენინის** ორდენით.

საქართველოს სსრ

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სხდომა

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელიც მიეძღვნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მე-18 სესიას. სესია იხსნება ხვალ ბერლინში.

სხდომაზე მიიღეს გენერალური საბჭოს სესიის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც შეიცავს ზემდეგ საკითხებს: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობა; პროფკავშირული კადრების მომზადება; მზადება პროფკავშირთა მე-7 მსოფლიო კონგრესისათვის და სხვ.

სხდომაში მონაწილეობდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე რ. ბიტოსი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე პიერ ჟანსუნი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, მათ შორის საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი.

კომპარტიის კანდიდატთა წარმატება

ლუქსემბურგი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინდელ პარლამენტის არჩევნებში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ლუქსემბურგის კომუნისტურმა პარტიამ. ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა გაცილებით მეტმა რაოდენობამ, ვიდრე წინა არჩევნებში. ახლა კომპარტიის პარლამენტში ეყოლება ექვსი დეპუტატი ხუთის ნაცვლად და შესაძლებლობა ექნება შექმნას ოფიციალური საპარლამენტო ფრაქცია.

ქრისტიანულ-სოციალურმა სახალხო პარტიამ დაკარგა ერთი ადგილი და ახლა პარლამენტში ჰყავს 21 დეპუტატი.

ლუქსემბურგის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ, რომელიც არჩევნებში ანტიკომუნიზმის ალმით გამოდიოდა, დაკარგა სამი ადგილი, მიიღო დეპუტატის 18 მანდატი. პარლამენტში 11 ადგილი ექნება დემოკრატიულ პარტიას. სულ ლუქსემბურგის პარლამენტში დეპუტატის 56 ადგილია.

ახალი პროვოკაცია

ლონდონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ისრაელის მხედრიონმა მოახდინა ახალი პროვოკაცია იორდანიის წინააღმდეგ. რეიტერის სააგენტოს ამანელი კორესპონდენტი იმოწმებს რა იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის განცხადებას და იუწყება, რომ გუშინ ისრაელის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს იორდანიის ჯარების პოზიციებს 10 კილომეტრზე. მეფე ჰუსეინის ხიდის სამხრეთით ცეცხლი 25 წუთს გაგრძელდა. როგორც სამხედრო წარმომადგენელი იუწყება, იორდანიის მხარეს სროლის შედეგად ზარალი არ მოსვლია.

ტალანტი და შთაგონება — ხალხს

(დასასრული)

ყირილობა ტაშის გრიალში სპეტაკი პრეზიდიუმში ირჩევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი აჭეთებს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას კომპოზიტორთა მე-4 სრულიად საკავშირო ყრილობისადმი.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მისალმების გულითად სიტყვებს.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სანგარიშო მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ტ. ნ. ხრენიკოვმა.

კომპოზიტორთა მესამე ყრილობის შემდეგ გასული ექვსი წლის მანძილზე, ამბობს ტ. ნ. ხრენიკოვი, ჩვენმა ხალხმა განვლო დიდი და სახელოვანი გზა. სკკპ 23-ე ყრილობამ მიიღო განსაკუთრებული მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი, დასახა კურსი, რომელსაც მისდევს ჩვენი ქვეყანა. ყრილობის მიერ დასახული დიად სამშენაოთა პროგრამა წარმატებით სრულდება. სწრაფი ტემპით ვითარდება მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგი.

ჩვენს ხალხთან ერთად ჩვენ ზეიმით ვიდღესასწაულეთ ოქტომბრის 50 წლისთავი. საბჭოთა კომპოზიტორებმა შექმნეს ამ ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილი მრავალი ნაწარმოები. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი ოპერები, კანტატები, სიმფონიები, სიმღერები სამშობლოს, პატრიის, ჩვენი ქვეყნის ადამიანთა შესახებ. საუკეთესო ამ ნაწარმოებებმა გაამდიდრეს საბჭოთა მუსიკა.

დაახლოებით წელიწადი დარჩა ლირსშესანიშნავ თარიღამდე — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავამდე. ლენინის იდეები შთაგონებენ საბჭოთა მხატვრებს, რომელთა შემოქმედება განუყოფლად დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან. ჩვენი ესთეტიკის საფუძველია ლენინური ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი.

ლენინური თემა გასდევს მთელ საბჭოთა მუსიკას. ეს თემა მრავალფეროვანი და დაუშრეტელია. ჩვენ გვაქვს ბევრი სიმღერა, საგუნდო სიმღერები, კანტატები, სიმფონიები, რომლებშიც აღბეჭდილია ხალხის უსაზღვრო სიყვარული ილიჩისადმი, რომლებიც უმღერიან ლენინური საქმის სიდიადეს, ლენინურ პარტიას. ჩვენ, ხაზს უსვამს მომხსენებელი, კიდევ უფრო ღრმად და მრავალმხრივად უნდა აღვბეჭდოთ ჩვენს ნაწარმოებებში გიგანტური მუშაობა, რომელსაც ჩვენი ხალხი ახორციელებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხორცს ასხამს რა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის იდეებსა და ანდერძს.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, აღნიშნავს ტ. ნ. ხრენიკოვი, როცა კლასობრივი ბრძოლა, ორი სამყაროს ბრძოლა არა თუ არ ცხრება, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო მწვავდება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა აღნიშნა, რომ იმპერიალიზმი „სამხედრო-პოლიტიკურ დარგში ავანტიურებთან ერთად სულ უფრო ცდილობს ძირგამომთხრელი პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა აწარმოოს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, კომუნისტური და მთელი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ". ამ უკანასკნელი თვეების ამბებმა საეჭვოდ დააფასტურა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ გამოტანილი დასკვნა.

ბარტიამ მოგვიწოდა ვაწარმოოთ შეტევითი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. და ჩვენ, საბჭოთა კომპოზიტორები და მუსიკისმცოდნეები, გამბობთ ამ მოწოდების პასუხად, მივმართავთ რა მთელ მსოფლიოს: ვერავინ აგვაცდენს სწორ გზას. ჩვენ პარტიასთან, ხალხთან ერთად ვართ!

სოციალისტური ხელოვნების შემოქმედებითი პრინციპიც ცხოველმყოფელობა, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, დადასტურებულია საბჭოთა მუსიკის მთელი ისტორიით.

შეეხო რა საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების მოქალაქეობრიობას, სოციალურ მნიშვნელობას, ტ. ნ. ხრენიკოვმა გაიხსენა უფროსი ამხანაგების სახელები, რომლებიც სამშობლოს შემოქმედებითი სამსახურის მაგალითს უჩენენებდნენ. ასეთი მაგალითი იყო ხელოვნებაში პროკოფიევის, მიასკოვსკის, გლიერის, შაპორინის, დუნაევსკის, ეროვნული სკოლების ფუძემდებლების — ფალიაშვილის, სპენდიაროვის, ჰაჯიბეკოვის ცხოვრება.

ასეთი მაგალითია ჩვენი თანამედროვის დიმიტრი შოსტაკოვიჩის ცხოვრება და შემოქმედება — პირველი კომპოზიტორისა, რომელსაც მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ტ. ნ. ხრენიკოვმა გააუქმა ამ ბოლო წლების ნაწარმოებთა ყველაზე დამახასიათებელი თვისებანი. საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებაში კვლავ ვითარდება თემატიკა, რომელიც დიდი ხანია მისი საფუძველი გახდა. მხედველობაში გვაქვს თემები — რევოლუცია, ლენინი, პარტია, მშვიდობის ათვის ბრძოლა. ამასთანავე საბჭოთა მუსიკაში შემოდის ახალი, ცხოვრებით შობილი სახეები და სიუჟეტები.

ახალი ფურცლები იწერება ეროვნულ მუსიკალურ კულტურათა ისტორიაში.

შემდეგ მომხსენებელი დამსწრეთა ყურადღებას მიაპყრობს ძაბრების შემოქმედებითს პრობლემებს, მათს ევოლუციას, ერთმანეთთან ურთიერთობას.

საბჭოთა სახელმწიფოს კომპოზიტორებს, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, მაღლა უპირავთ სოციალისტური ხელოვნების დროშა. ჩვენი მუსიკა იყო და იქნება მსოფლიო მუსიკალური კულტურის ნამდვილი ავანგარდი.

ტ. ნ. ხრენიკოვმა ილაპარაკა იმ საზოგადოებრივ როლზე, რომელიც უნდა შეასრულონ მუსიკის მეცნიერებამ და კრიტიკამ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სიმღერის მთხზველ საბჭოთა კომპოზიტორების ამოცანებს. ახალი სიმღერების შექმნისათვის აქტიურად მუშაობს სხვადასხვა თაობის და ეროვნების კომპოზიტორთა დიდი ჯგუფი. სიმღერა ხალხს სჭირდება. იგი იდეური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

დასასრულ ტ. ნ. ხრენიკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომპოზიტორთა ცენტრალური ამოცანა არის ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება. ამას უნდა დაუქვემდებაროთ ყოველდღიური საქმიანობა. ჩვენ საბრძოლო ლაშქრობაში ვართ, თქვა მომხსენებელმა, და ვფიცავთ ლენინის დიად პარტიას მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ კეთილშობილურ და საპატიო საქმეს — კომუნიზმის მუსიკალური კულტურის მშენებლობას.

სიტყვა მოხსენებისათვის მასობრივი მუსიკალური აღზრდის შესახებ ეძლევა კომპოზიტორ დ. ბ. კაბალევსკის.

მომხსენებელმა ილაპარაკა ბავშვებისა და ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაზე — მთელი ხალხის ესთეტიკურ კულტურის საფუძველზე. ჩვენს ქვეყანაში ოთხი ათას რვაასზე მეტი ბავშვთა დღისა და საღამოს მუსიკალური სკოლაა. მათ ჯარად მუშობს მრავალი მუსიკალური კლასი და ჯგუფი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, წრეები და სტუდიები. ბევრი ჩვენი ბავშვთა და ახალგაზრდობის გუნდი და ორკესტრი მონაწილეობს ბოლო-ბოლო [illegible] ფესტივალში. ეს [illegible] ბავშვთა [illegible] ინსტიტუტში, კიროვის სახელობის ქორეოგრაფიულ [illegible] ინსტიტუტში, ლენინგრადის [illegible] ინსტიტუტში, ბელორუსიის [illegible] ინსტიტუტში, ალმა-ათის [illegible] ინსტიტუტში, ბაკურიანის [illegible] ინსტიტუტში, ბაკურიანის [illegible] ინსტიტუტში, ბაკურიან

მსოფლიო დღეს

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები • ფაქტები

სოციალიზმის ძლიერების საფუძველი

სოფია, 16 დეკემბერი. (საკდესი). გასული წლის შედეგები საბჭოთა ხალხში, სოციალიზმის მეგობრებში იწვევენ კანონიერ სიამაყეს დიადი შემოქმედებისათვის, რომელიც სულ უფრო ხრის სასწორს მშვიდობისა და სოციალიზმის მხარეზე, წერს ბულგარული „ოტეჩესტვენ ფრონტი“ სარედაქციო სტატიაში „საბჭოთა მიზანსწრაფვა“, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიას. საბჭოთა კავშირის წარმატებები — ეს არის მსოფლიო სოციალიზმის წარმატებები, მთავარი დაკვრითი ძალა მის ძლევამოსილ წინსვლაში.

საბჭოთა კავშირის ძლიერება, განაგრძობს გაზეთი, სოციალიზმის ძალის საფუძველია, საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი ფაქტორია, ფარია იმპერიალისტური ხრაკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეი ის ძალაა, რომელმაც ჩაფუშა აგრესიული გეგმები სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ და რომელიც შემაკავებელ გავლენას ახდენს ამერიკელ იმპერიალისტებზე.

სოციალისტური ქვეყნებისათვის, ჩვენთვის, კომუნიზმის მშენებლობას უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირი ავანგარდია საერთო ბრძოლაში, მაგალითია, რომელიც გვასწავლის და გვაფრთხილებს. მზარდი საბჭოთა პოტენციალი წყარო ძლური დახმარებისა, ურომლისოდაც ჩვენი წარმატებები შეუძლებელი იქნებოდა.

საბჭოთა ადამიანების შეგნებაში ეს გრანდიოზული აღმავლობა დაკავშირებულია ძვირფას და ახლობელ სახელთან — ლენინის სახელთან, ხაზს უსვამს გაზეთი. საბჭოთა ხალხმწიფოს დამაარსებლის დაბადების მომავალ ასი წლისთავს საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი აღნიშნავენ საყოველთაო სახალხო შეჯიბრებით, რომლის შედეგები სახელოვანი იუბილეს საუკეთესო გვირგვინი იქნება.

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ხუთწლედის „მეოთხე ეტაპის გრანდიოზულ გეგმას“ უწოდებს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ საბჭოთა კავშირის 1969 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მიიღო.

საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ ერცელ სტატიაში გაზეთი ანალიზს უკეთებს გეგმის ძირითად დებულებებსა და ციფრობრივ მანვენებლებს, ხაზს უსვამს მის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის.

სტატიაში ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი სახელმწიფო გეგმის ამოცანების განხორციელებაში. სკკპ XXIII ყრილობაზე, წერს გაზეთი, შეიმუშავეს ხუთწლიანი გეგმის დირექტივები 1970 წლამდე, რომელთა განხორციელება მილიონობით მშრომელის საარსებო საქმე გახდა.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების გეგმის წარმატებით შესრულება 1969 წელს, აღნიშნულია სტატიაში, მოასწავებს პროგრესს აგრეთვე ჩვენთვის, რადგან ჩვენ ერთად მივდიეართ მხარდამხარ.

ბუდაპეშტი, 16 დეკემბერი. (საკდესი). 1968 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა საბჭოთა კავშირში გადაჭარბებით იქნება შესრულებული, წერს დღეს გაზეთი „ნეფსაბადშაგი“, კომენტარს უძღვნის რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობას. ეროვნული შემოსავალი, აღნიშნავს გაზეთი, 6,8 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 7,2 პროცენტით, ხოლო სამრეწველო წარმოება 8,1 პროცენტის ნაცვლად 8,3 პროცენტით. ისეთ უზარმაზარ ქვეყანაში, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, ხაზს უსვამს გაზეთი, ეს ზრდა ფრიად მნიშვნელოვანია.

ეხება რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმას, რომელიც სესიამ მოიწონა, „ნეფსაბადშაგი“ აღნიშნავს, რომ იგი ემსახურება მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებას, მის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

მექსიკელი „ულტრების“ გაკოზღომეგი

მეხიკო, 16 დეკემბერი. (საკდესი). ოთხ კაცი დაიჭრა დინამიტის მუხტის აფეთქების შედეგად, რომელიც უცნობმა პირებმა ჩადეს მექსიკის მშრომელთა კონფედერაციის შენობაში. აფეთქებისაგან, რომელიც მექსიკის დედაქალაქის ცენტრში 15 დეკემბერს ალიარნზე მოხდა, ძლიერ დაზიანდა მექსიკის მშრომელთა კონფედერაციის შენობა და მეზობელი სახლები.

ერთი დღით ადრე 30 კაცისაგან შემდგარი ბანდიტთა ჯგუფი შეიჭრა თეატრ „ხორხე ნეგრეტეს“ ფოიეში და მკვეთს სამუალებით მოსპო მნიშვნელოვანი ნაწილი იქ გამოფენილი სურათისა „კაცი და თეატრი“, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ესპანელ მხატვარს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის laureატს დავით ალფარო სიკეიროსს. პროამერიკულად განწყობილ ხულიგანთა ჯაფთრება გამოიწვია სურათის ფრაგმენტმა, სადაც გამოსახული ორიან ჯარისკაცები, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ მექსიკის კონსტიტუციას — იგულისხმება ამერიკის მხედრიონი.

გამოხდომის ორგანიზატორები, როგორც სიკეიროსმა განუცხადა ჟურნალისტებს, „უდიდ ულტრარეაქციული წრეების წარმომადგენელნი არიან“.

რეპრესიები გრძელდება

კაირო, 16 დეკემბერი. (საკდესი). ისრაელის ხელისუფალნი ახორციელებენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ოკუპირებული არაბული ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიათა ფართო კამპანიას.

როგორც 15 დეკემბერს კაიროს გაზეთი „ალ-მასა“ იუწყებოდა, საოკუპაციო ხელისუფლებმა სინას ნახევარკუნძულის ბედუინებს უბრძანეს დატოვონ ძველი ტრადიციული მომთაბარეობის ადგილები.

დამპყრობლები ცდილობენ დაფარონ თავიანთი დანაშაულის კვალი, აღნიშნავს გაზეთი, და საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებს ნებას არ აძლევენ შევიდნენ სინას ნახევარკუნძულზე, რათა გაეცნონ ამ ნახევარკუნძულის მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და მდგომარეობას.

როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტმა იერუსალიმიდან გადმოგვცა, არაბთა ქალაქ ჰებრონში, რომელიც მდებარეობს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირას, ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებმა შემოიღეს კომენდანტის საათი.

მოუწოდებენ ერთიანობისაკენ

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ესენნი გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მაქს რაიმანმა მოიწოდა, რომ მონოპოლიათა ბატონობას დაპირისპირონ მუშათა კლასისა და პროფკავშირთა ძალა.

როგორც ადნ-ის საგაზეთო იუწყება, იქ გამართული დისკუსიის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები, განიხილეს „დიდი კოალიციის“ პოლიტიკის, საწარმოებსა და პროფკავშირებში მუშათა როლის გაძლიერებისათვის ბრძოლის საკითხები.

მაქს რაიმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საწარმოებში მუშათა უფლების გაფართოებისათვის ბრძოლა საჭიროა კონცერნების ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შესასუსტებლად.

მან განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები, კომუნისტები, და ყველა დემოკრატი, რომლებიც ითვალისწინებენ საშიშ განვითარების დასაღლეთ გერმანიაში, უნდა გაერთიანდნენ მოსახლეობის დემოკრატიულ უფლებათა დაცვისა და ახალი პოლიტიკის განხორციელებისათვის.

აგრესორი არ ცხრება

ამანი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ისრაელის არტილერიამ 23.00 საათზე მოსკოვის დროით ცეცხლი დაუშინა იორდანიის ტერიტორიას მკვდარი ზღვის სამხრეთით განლაგებული ელ-საფის მთების რაიონში.

როგორც იორდანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, ცეცხლის შედეგად, რომელიც 25 წუთს გაგრძელდა არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, დაიჭრა რამდენიმე სახლი.

● ვენერეს გასამარჯლება!

„პალესტინის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის“ მოწოდება

კაირო, 16 დეკემბერი. (საკდესი). „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტმა“ საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სამართლიანობა და კანონიერება, მოუწოდა ხელი შეუწყონ იმას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ისრაელ ხელისუფალთა მიერ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლების გასამართლება.

„პალესტინის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის“ წარმომადგენელმა, იუწყება გაზეთი „ალ-ჰარამი“, განაცხადა, რომ ორგანიზაცია მოითხოვს შეიქმნას საკონციალური კომისიები, რომლებიც მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას მიაყრობენ პალესტინელი ხალხის ტრაგედიას.

მთავროგისადმი ნდობა ეცემა

ტოკიო, 16 დეკემბერი. (საკდესი). ამას წინათ იაპონიაში კიოდო ცუსინის საგაზეთოს მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაწილეთა 43,4 პროცენტმა განაცხადა, რომ არ უჭერს მხარს პრემიერ-მინისტრ სატოს კაბინეტს (კაბინეტს მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 40,8 პროცენტმა).

გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ სულ უფრო ეცემა ავტორიტეტი სატოს კაბინეტისა, რომლებსაც ადგენს იაპონიის მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია.

იაპონის მოსახლეობის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ მთავრობას არ შესწევს უნარი თავი გაართვას პირველი საჭიროების საგნების ფასების განუწყვეტელ ზრდას, გადაწყვიტოს საბინაო პრობლემა. საგარეო პოლიტიკის სფეროში გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ იაპონიაში იზრდება უკმაყოფილება მთავრობის კურსის — შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის განმტკიცების კურსის გამო.

ყოფილი ფაშისტი გუნდესტაგს უმიზნებს

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ნეოფაშისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ანრიხი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დარმშტადტის რაიონის ორგანიზაციის კრებაზე დაასახელეს ბუნდესტაგის დეპუტატობის კანდიდატად მომავალ 1969 წლის არჩევნებში. ამას იუწყება ადნის საგაზეთო.

ეს ნაცისტი უკვე 1930 წელს შედიოდა სტუდენტთა ფაშისტური კავშირის ხელმძღვანელობაში და ეწეოდა სტუდენტების დამუშავებას ფაშისტური სულისკვეთებით. ამჟამად ანრიხი შედის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებული ყოფილ ნაციისტ-ჰაილაინელთა „ვიტიკობუნდის“ ორგანიზაციის გამგეობის შემადგენლობაში.

გამოვიდა რა რევანშისტული „სუდეტელ გერმანელთა სათვისტომოს“ ერთ-ერთ შეკრებაზე, ანრიხი ცდილობდა გაემართლებინა ის, რომ ფაშისტურმა გერმანიამ დაიპყრო ავსტრია, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი. ამასთან დაკავშირებით იგი ლაპარაკობდა „ჰიტლერის დიდ ისტორიულ დამსახურებაზე“.

დაპატიმრებანი ბრაზილიაში

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რიო-დე-ჟანეიროდან იუწყებიან, ბრაზილიაში ბრძოლდება დაპატიმრებანი. ასოციეიტედ პრესის საგაზეთოს ჟორნალისტის ცნობით, გუშინ დაუპატიმრეს სულ ცოტა 200 კაცი, მათ შორის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები და ეურნალისტები. ორი ყოფილი პრეზიდენტისა ჟუსელინო კუბიჩეკის და ჟანიო კუადროსის გარდა, დაპატიმრებულთა სიაში არიან გუანაბარის შტატის ყოფილი გუბერნატორი კარლოს ლაკერდა, შტატების გუბერნატორები: პარანისა — პაულო პიმენტელი, რიო-დე-ჟანეიროსი — �რეიმეის ფონტესი, მატო-გროსისა — პედრო პედროსიანი, თვალსაჩინო ადვოკატი სობრალ პინტო, მარშალი კორდეირა დე ფარიასი და ბევრი სხვა.

ყველა გაზეთში, რადიოსა და ტელევიზიებში, აგრეთვე უცხოეთის საინფორმაციო საგაზეთოების განყოფილებებში სხვადან მთავრობის ცენზორები. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ოპოზიციური გაზეთი „კორეიო და მანია“, რომელსაც წინა დღით თავს დაესხნენ, გუშინ გამოვიდა იმ, რომ არ მოუთავსებია ცნობები შინაპოლიტიკურ თემებზე. რიო-დე-ჟანეიროს უდიდესი გაზეთი „ჟორნალ დე ბრაზილი“ გუშინ საერთოდ არ გამოსულა.

ტანკები და ჯავშნიანი მანქანები კვლავ იცავენ ქალაქების რიო-დე-ჟანეიროს, სან-პაულოს, ბრაზილიისა და ყველა შტატის დედაქალაქების სამსჯდრო ობიექტებს.

კატრულეგი ნდოლის ძუჩეგში

დარ-ეს-სალამი, 16 დეკემბერი. (საკდესი). კვირას შეიარაღებული პოლიცია პატრულობდა ზამბიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის — ნდოლის ქუჩებს. ეს ღონისძიება გამოიწვია შეტაკებებმა, რომლებიც მოხდა შაბათს ეროვნული დამოუკიდებლობის მმართველი გაერთიანებული პარტიისა და აფრიკის ეროვნული კონგრესის ოპოზიციური პარტიის წევრებს შორის. ლუსაკიდან მიღებული ცნობების თანახმად, შეტაკების შედეგად რამდენიმე დაშავებული გაგზავნილია საავადმყოფოში.

19 დეკემბერს ზამბიაში გაიმართება პარლამენტის არჩევნები. ეს იქნება პირველი არჩევნები მას შემდეგ, რაც ზამბიამ მიიღო დამოუკიდებლობა 1964 წელს.

მსოფლიოს გარშემო

ფოტოეტიკრანი

ბონი. დედაქალაქ ბაიერობის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი.
ფოტო ს. კულიკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკა. ქალაქი თერიმი მუსლიმანური კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია. ოდითვე ეს ქალაქი სახელგანთქმულია თავისი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებით.

* * *

სურათზე ქვემოთ — ალმაპადარის მეჩეთი; ზემოთ — საქონლის გაუოდვა სამხრეთ იემენის ერთ-ერთ სოფელში.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

— ბედი გეწიათ და უმუშევრობისა ნუ გეშინიათ. პრეზიდენტი ნიქსონი სულაც არ ფიქრობს ამ ბიზნესზე ხელის აღებას.
ნახ. ჟურნალ „კოლსკოე ობოზრენიედან“.

ეროვნული ფრონტის ბოიკოტი

სრული ერთსულოვნება

სტოკჰოლმი, 16 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტები დ. ერშოვი და ვ. როლიკი გვაცნობინებენ: იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა ვიეტნამისადმი მიძღვნილი მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო საკონსულტაციო თათბირის მუშაობა, აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. პრეს-კონფერენციაზე „ვიეტნამისადმი მიძღვნილი მშვიდობისმოყვარე ძალების სტოკჰოლმის კონფერენციის“ ორგანიზაციის საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბერტილ სვანსტრემმა თათბირის მუშაობის შედეგებს მაღალი შეფასება მისცა. მან განაცხადა, რომ სპეციალური დელეგაცია პარიზის მოლაპარაკების მონაწილე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლებს გადასცემს სტოკჰოლმის თათბირზე მიღებულ დოკუმენტებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო საკონსულტაციო თათბირზე ვიეტნამის მხარდაჭერის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ნ. სმირნოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ დიდად კმაყოფილია გამართული თათბირის შედეგებით. მან თქვა, რომ თათბირის ყველა მონაწილემ ერთსულოვნად განაცხადა, „1969 წელი უნდა გახდეს ვიეტნამის ომის დამთავრების წელი, ვიეტნამელი ხალხის მხარდასაჭერად მსოფლიო საზოგადოებრიობის საერთაშორისო მობილიზაციის წელი“.

16 დეკემბერი

ყოველი მხრიდან

რაზე წერს უცხოეთის პრესა

პრაგრესული პრესა აღნიშნავს ღრმაშესანიშნავ თარიღებს პოლონეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში — პოლონეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავსა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დაარსების 20 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით ქვეყნდება მისალმებანი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სახელზე, ისტორიული და სხვა მასალები.

ბულგარეთის გაზეთები აღნიშნავენ ბულგარეთის კრეისერ „ნადეჟდაზე“ 1918 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად მომხდარი აჯანყების მონაწილეთა დაჯილდოებას სსრ კავშირის ორდენებით.

დღევანდელი რუმინული გაზეთები იუწყებიან, რომ კვირას განხორციელდა კულტურული ღონისძიებანი, მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკის დღისადმი, რომელიც პირველად ეწყობა რუმინეთში.

ბევრი ქვეყნის გაზეთები აშუქებენ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის სულ უფრო მზარდ მოძრაობას. პრესა აჯამებს იმ საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა სტოკჰოლმის თათბირის შედეგებს, რომლებიც მოითხოვენ ვიეტნამის ომის შეწყვეტას. მოჰყავთ შინაარსი დოკუმენტებისა, რომლებიც მიიღეს თათბირის მონაწილეებმა, ყურძოდ, მოწოდება ყველასადმი, ვინც ვიეტნამის მშვიდობას ესწრაფვის.

ლონდონის გაზეთების უყურადღებას იპყრობს ეკონომიური განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელიც ინგლისის პრემიერ-მინისტრის ქალაქგარეთა რეზიდენციებში გაიმართა. „**ტაიმსი**“, „**დეილი ტელეგრაფი**“ და სხვა გაზეთები ხაზს უსვამენ საბჭოს გადაწყვეტილებას კიდევ ერთი წლით ძალაში დატოვოს ხელფასის აწალადელი გაყინვა და დაკრედიტების შეზღუდვის ღონისძიებანი.

მთელი რიგი გაზეთები კვლავ უძღვნიან კომენტარს საყოველთაო არჩევნების შედეგებს გაიანაში. ლონდონის „**მორნინგ სტარი**“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, თუ რა ფალსიფიკაციას მიმართეს მმართველმა წრეებმა, რეგისტრაციაში რომ გაატარეს არარსებული გაიანელი ამომრჩევლები საზღვარგარეთ.

ამერიკის პრესა კვლავ იხილავს ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი მთავრობის შემადგენლობას, რომელიც 20 იანვრის შემდეგ შეუდგება თავის მოვალეობათა შესრულებას. აანალიზებს რა ახალ მთავრობას როგორც კონსერვატიულს, „**ნიუ-იორკ ტაიმსი**“ წერს, რომ იგი „შედგენილია ძირითადად ბანკირებისაგან, კორპორაციათა იურისტებისა და მილიონერ მეწარმეებისაგან“. იგივე გაზეთი წერს, რომ ზოგიერთი მრჩეველი ახლად არჩეულ პრეზიდენტს ურჩევს მაქსიმალური ყურადღება დაუთმოს დამნაშავეობის პრობლემას ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან დამნაშავეობა საშიშ ხასიათს იღებს. კერძოდ, შეაქვთ წინადადებანი ერთიერად გაადიდონ ფედერალური აპარატი, რომელიც მოწოდებულია აწარმოოს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ.

საზღვარგარეთის პრესა აშუქებს ძაძაბულ ვითარებას ბრაზილიაში, სადაც მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებანი, შემოღებულია მკაცრი ცენზურა, დათხოვნილია ეროვნული კონგრესი. „უნიდრო დიქტატურა, ბრაზილია — საშიშ გზაზეა“, წერს ამასთან დაკავშირებით **პარიზის „ფიგარო“**. (საკდესი).

● ფაქტები

□ ჰანოი, 16 დეკემბერი. (სკკდესი). გუშინ ვიეტნამის სახალხო არმიის მებრძოლებმა ბაბაკის პროვინციაში ჩამოაგდეს ამერიკული უპილოტო საფაზვერო თვითმფრინავი, რომელიც შემოიჭრა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ეს არის ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოგდებული 8.256-ე ამერიკული თვითმფრინავი.

□ პარიზი, 16 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კანდიდატმა ჟან დიუკლონემ გუშინ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ეროვნული კრების არჩევნების საბოლოო მეორე ტურში ზემო სენის მეთერთმეტე საარჩევნო ოლქში. ჟან დიუკლონეს ხმა მისცა 22.939 ამომრჩეველმა, ანუ 56,78 პროცენტმა. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კანდიდატმა დამარცხა რ. ბარბერო, რომელიც რესპუბლიკის დაცვის კავშირის მმართველი პარტიის წარმომადგენელია.

□ ბუენოს-აირესი, 16 დეკემბერი. (სკკდესი). არგენტინის მთავრობამ აკრძალა ეროვნული ქონების დაცვის მოძრაობის პროგრესული ორგანიზაციის (მოდეპანა) კიბეული საერთო ეროვნული ყრილობის მოწყობა, რომელიც უნდა გამართულიყო აქ.

□ ვარშავა, 16 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს ვარშავაში გაიხსნა მეკნიერულ-კვლევითი ბირთვული რეაქტორების ფიზიკოსებისა და ტექნიკოსების საერთაშორისო კონფერენცია. როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს, ექსპერტთა ეს საერთაშორისო შეხვედრა მოაწყეს დუბნის (მოსკოვის მახლობლად) ბურთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის წევრმა ქვეყნებმა.

ვიეტნამელ ხალხს ბრძოლა ეგრძელებოდა

ერთ-ერთ ადგილზე

ვიეტნამელ ხალხს

ვიეტნამელ ხალხს

ვიეტნამელ ხალხს

ვიეტნამელ ხალხს

● ● ●

● ● ●

● ● ●

სტარტზეა ფესტივალი

ჩვენი ქვეყნის ყველა სპორტული საზოგადოების ალმა აღიმართა 15 დეკემბერს რუსთაველის სახელობის კინოთეატრზე. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სპორტული ფილმების მეორე სრულიად საკავშირო ფესტივალის, მოწყობის ადგილად არჩეულია ქალაქი თბილისი. ეს ბევრ რამეს ავალებს როგორც ჩვენს სპორტსმენებს, ისე ქართული კინოს მოღვაწეებს.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნების ხმებაში ნელნელა აღიმართა ფესტივალის ალმი. ფესტივალის ალმის აღმართვის საპატიო უფლება მიეცათ სსრ კავშირის ჩემპიონს ჭადრაკში **ნანა ალექსანდრიას**, ოლიმპიურ ჩემპიონს **რომან რურუას** და სპორტული ფილმების მოსკოვის პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალის გამარჯვებულს უკრაინის მეცნიერული ფილმების სტუდიის რეჟისორს **თემურ ზალოევს.**

ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ბ. ჩირკოვმა** გამოსვლაში აღნიშნა, რომ სპორტის თემა საბჭოთა კინოს შემოქმედებით მუშაკთა სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. სპორტული ფილმების პირველი სრულიად საკავშირო ფესტივალი სპორტული ფილმების ნათელი პარადი იყო. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე სპორტული თემებისადმი მიძღვნილი სურათების წარმოების გეოგრაფია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ყველგან მომდინარეობს სპორტული ფილმების შექმნა, რომლებსაც მხახველებისათვის მოაქვთ მხნეობა, ოპტიმიზმი, კარგი გუნება.

ბ. ჩირკოვმა აღნიშნა, რომ ფესტივალი სცენარისტებს, რეჟისორებს, ოპერატორებს დაეხმარება გადადგან შემდგომი ნაბიჯი ახალი სპორტული ფილმების — მწვავე სიუჟეტის მკაფიო ფილმების შექმნის გზაზე, რომლებიც უმდერიან მშვენიერ ადამიანურ თვისებებს—სილამაზეს, ვაჟკაცობას, გაბედულებასა და ნებისყოფას.

სპორტული ფილმების მეორე სრულიად საკავშირო ფესტივალის სარდაფინაცია კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სპორტული ფილმების, ისინი გახდებიან ახალი სპორტული ასპარეზობის გმირები, ახალი სპორტული ფილმების გმირები.

კინოფესტივალის პირველ დღეს უნჯენეს მხატვრული ფილმი „ახალბედა“ (მოსკოვი) ტანმოვარჯიშე ქალიშვილის შესახებ, ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმი, რომელიც ეძღვნება საქართველოს ცნობილ სპორტსმენებს, აგრეთვე კინოჟურნალები. (საქდეს).

გუშინ ფესტივალზე

გუშინ კინოთეატრ „რუსთაველს“ დიდ ეკრანზე გრძელდებოდა დიდი შემოქმედებითი პაექრობა სხვადასხვა რესპუბლიკების კინოფილმებისა, რომლებსაც მიუხედავად თავიანთი ეანრობრივი სხვადასხვაობისა ერთიანებთ ერთი თემა — სპორტული თემა.

ნაჩვენები იქნა რამდენიმე საინტერესო კინოფილმი, მათ შორის დოკუმენტური „მოფარიკავენი“ (კიევის კინოსტუდია), კინოჟურნალი „სოვეტსკი სპორტი“, მხატვრული „ძახილი“ (ლიტვის კინოსტუდია), მხატვრული „ვერტიკალი“ (ოდესის კინოსტუდია), „მოჭადრაკეები“ (მოსფილმი), დოკუმენტური „ბურთი, გულშემატკივარი და მე“ და სხვ.

მხატვრული ფილმი „ვერტიკალი“ ალპინისტებს ეძღვნება. რეჟისორების სტანისლავ გოგორუნინისა და ბორის დუროვისათვის ამ შემთხვევაში ალპინიზმი არა მარტო სპორტია, არამედ დამეგობრული ურთიერთობის, ხასიათების გამოვლენის საშუალებაც. მწვერვალის დაპყრობის პროცესში ხაზგასმით ჩანს ფილმის მოქმედ გმირთა სამყარო.

უთუოდ საყურადღებო ნაწარმოები წარმოადგინა მოსკოვის საშეცნიერო ფილმების სტუდიამ „მოჭადრაკეების“ სახით. ჭადრაკი, უფიქრესი და ამავე დროს ტკბილი სპორტის სახეობა, ათას წლებს ითვლის. რეჟისორმა ვ. ვინოგრადოვმა შექმნა შესანიშნავი ფილმი, რომელიც ჩვენი დროის დიდ მოჭადრაკეებზე გვიამბობს დიდი ემოციური ძალით.

გუშინ სადამოს სასტუმრო „ევროპეის“ კონფერენც-დარბაზში მოეწყო მორიგი პრეს-კონფერენცია. დედაქალაქის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები შეხვდნენ მხატვრული ფილმის „ახალბედას“ შემქმნელ კოლექტივს.

ფესტივალი გრძელდება.

ნ. ჯაფარიძე.

სურათზე: ფესტივალის მონაწილეთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან მარჯვნივ — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ნ. ალექსანდრია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ჩირკოვი, კინორეჟისორი ვ. ფედორჩენკო, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მოჭიდავე რ. რურუა.

ფოტო ბ. ქიკავაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

გუშინდელი ეკრანიზაციები

გვიჩვენებენ ეკრანიზაციებს

კაბლე ლუბიმოვი.
კინორეჟისორი

◆

თბილისში ხელცარიელი არ ჩამოვსულვარ. ამ დიდ კინოფორუმზე ჩამოვიტანე ფილმი „ახალბედა“. ვფიქრობ, რომ სურათი ქართველმა მაყურებელმა კარგად მიიღო. მინდოდა ფილმში მეჩვენებინა სპორტსმენის შინაგანი ბუნება, მისი ხასიათი ყველა ნიუანსით. სპორტი ხელოვნებაა და რომ დაუფლო მის ფანტასტიკურ შესაძლებლობებს, საჭიროა არა მარტო ტალანტი, არამედ სიყვარული, თავგანწირვა, სწრაფვა რაღაც ამაღლებულისა და ძლიერისაკენ. სურათი საერთოდ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ვცდილობდი ფილმში გადმომეცა, თუ როგორ აყალიბებს სპორტი ადამიანის ხასიათს. სურათში მთავარ როლს ასრულებს არა პროფესიონალი მსახიობი, არამედ სპორტის ოსტატი ლენინგრადელი გოგონა ირინე ელისეევა.

ხაჭართველო ამაყობს თავისი ახალგაზრდა სპორტსმენებით, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამარჯვებების და ვაჟკაცური შერკინებათა ადეკვატური ასახვა ჯერჯერობით კინოეკრანზე ვერ მოხერხდა. ქართველი კინემატოგრაფისტების დიდი შესაძლებლობანი საყოველთაოდ აღიარებულია. იმედია, ისინი ღირსეულად შეძლებენ გადაწყვიტონ ეს პრობლემა და შექმნან სახელოვან ქართველ სპორტსმენთა საკადრისი, მაღალმხატვრულად გადაწყვეტილი საინტერესო ფილმები.

ისაკ პროკი.
კინოდრამატურგი

◆

მოხარული ვარ, რომ სპორტული ფილმების მეორე საკავშირო კინოფესტივალი ტარდება თბილისში, დიდი კინემატოგრაფიული და სპორტული ტრადიციების ქალაქში. ყოველთვის სიხარულით მოვისწრაფოდი საქართველოში, სადაც ასე უყვართ და ასე ესმით დიდი ხელოვნება. აქ ბევრი მეგობარი მყავს, რომლებთანაც მაკავშირებს შემოქმედებითი კონტაქტები, რაც ამჯერად კიდევ უფრო გაღრმავდება. აქ ჩვენ გვეკნება ბევრი საინტერესო ნაშრომი, ეს ფესტივალი ბევრ საინტერესო შეხვედრა ასოციაციებს, ეროვნული კინოსტუდიების ხელმძღვანელებს, ბევრ ინტერესულ ადამიანს, ბევრ ინტერესულ ადამიანს, ბევრ ინტერესულ ადამიან